ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი 11

17.07.2015

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ასისტენტ პროფესორის, ე. ფირცხალავას მივლინება და საბჭოს ახალი მდივნის არჩევა
2. სასწავლო გეგმებსა და სილაბუსებში ცვლილებების დამტკიცება.
3. პროფ. მ წერეთლის სადოქტორო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენა.
4. საუნივერსიტეტო სამაგისტრო დაფინანსების წესში ცვლილების დამტკიცება.
5. დეკანის არჩევნების ვადების დანიშვნა.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თ. გაგოშიძემ მოიწვია ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო ონლაინ-რეჟიმში.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, შალვა აბზიანიძე, ია კუტალაძე, მანანა მელიქიშვილი, ლალი სურმანიძე, ანასტასია ქიტიაშვილი, მზია წერეთელი;

ასისტენტ პროფესორები: ია აფთარაშვილი, თეონა ლოდია, შორენა მამუკაძე, ეკატერინე ფირცხალავა, ირინა ჟვანია, ლია ჩხიკვიშვილი, ირინე გედევანიშვილი, მედეა დესპოტაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ნინო ლაბარტყავა, ლილი ხეჩუაშვილი;

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ალიბეგაშვილი ნანუკი

დადეშქელიანი ბექა

სალია გვანცა

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 25 წევრი

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ე. ფირცხალავას მივლინება ერაზმუს მუნდუსის პროგრამით და მის თანამდებობაზე ზაქარია ქიტიაშვილის კანდიდატურის კენჭისყრის საკითხი.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა ასისტენტ–პროფესორის, ეკატერინე ფირცხალავას წერილი იმის შესახებ, რომ მან პორტუგალიაში, მინჰოს უნივერსიტეტიდან მიიღო მიწვევა ერასმუს მუნდუსის პოსტდოქტორის კვლევითი პროგრამის „ელექტრას“ ფარგლებში 2015 წლის 18 სექტებრიდან 18 მარტამდე. ეკატერინე ფირცხალავა ითხოვს 1 ნოემბრიდან 2 თვის ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულების გაფორმებას. თავის საათობრივ დატვირთვას ის ასიმეტრიულად შეასრულებს მეორე სემესტრში.

შესაბამისად ე. ფირცხალავა ვეღარ შეძლებს საბჭოს მდივნის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მან საბჭოს შესთავაზა მდივნის პოზიციაზე კენჭი ეყარათ ასისტენტ პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის კანდიდატურისათვის.

საბჭომ კენჭი უყარა ე. ფირცხალავასთვის 2 ტვიანი შემოქმედებითი შვებულების გაფორმებას:

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

საბჭომ კენჭი უყარა საბჭოს მდივნად ზ. ქიტიაშვილისკანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. **სასწავლო გეგმებსა და სილაბუსებში შეტანილი ცვილებები.**
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინა სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნება აკადემიურ საბჭოს.

ცვლილებები

საბაკალავრო პროგრამები:

<u>ფსიქოლოგიის მიმართულება</u>

1. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსს - „ჯანმრთელობის ფსიქოლოგია“თინათინ ჭინჭარაულის ნაცვლად წაიკითხავს თამარ გაგოშიძე. სილაბუსში შეიცვალა შეფასების კომპონენეტები.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა პირველი დონის საგანი - „ბიოფსიქოლოგია“. წაიკითხავს ირმა ხაჩიძე.

3. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი - „ლიდერობის თეორია და პრაქტიკა“. წაიკითხავს გიორგი ყიფიანი.
4. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსი -„ფსიქოლოგიის შესავალი“ შეიცვალა კურსით: „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“. ასევე, კურსი - „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შეიცვალა კურსით - „ფსიქოლოგიის საფუძვლები 2“.
5. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორსემესტრიანი კურსი - „ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები“ (მესამე დონის საგანი) გახდა ერთსემესტრიანი. შეიცვალა საგნის სილაბუსისში ნაარსი, შემცირდა თემები.
6. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანში - „სოციალური მუშაობის შესავალი“ შეიცვალა სილაბუსი, დაემატა ახალი თემები (გ. წოწკოლაური).
7. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსში - „ფსიქომეტრიის შესავალი“ შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები (ი.კუტალაძე).
8. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა ახალი საგანი - „მსოფლმხედველობრივი პარადიგმები“. წაიკითხავს აკაკი ყულიჯანაშვილი.
9. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსების - „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „სოციალური ფსიქოლოგია 2“ - სილაბუსებს დაემატა ახალი თემები.
10. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე დონის არჩევითი კურსის - „პათოფსიქოლოგია“ სილაბუსს დაემატა ახალი თემები (თ.გაგოშიძე)
11. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსს - „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“ ნატა მეფარიშვილის ნაცვლად წაიკითხავს თეონა გავაშელიშვილი. სილაბუსს დაემატა ახალი თემები და პრაქტიკული დავალებები.
12. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა ახალი საგანი - „ენისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები“. წაიკითხავს შორენა მამუკაძე.
13. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა ახალი საგანი - „გეშტალტ თერაპია ბავშვებთან და მოზარდებთან“. წაიკითხავს მზია დალაქაშვილი.
14. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსს - „გარემოს ფსიქოლოგია“ წინაპირობად დაემატა ინგლისური ენა (ნ.სუმბაძე).
15. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები“. წაიკითხავს ლაშა ხოჯანაშვილი.
16. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსს - „ფსიქოლოგიის ისტორია“ სილაბუსს დაემატა ახალი თემები (ი.იმედაძე)

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები“. წაიკითხავს ირაკლი იმედაძე.

18. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე დონის საგანი „ექსპერიმეტული ფსიქოლოგია“ (5 კრედიტი) გადავიდა მეორე დონეზე და გახდა 10-კრედიტიანი („ექსპერიმეტული ფსიქოლოგია 1“; („ექსპერიმეტული ფსიქოლოგია 2“).
19. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პირველი დონის არჩევითი საგნებიდან ამოღებულია „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ „ჟურნალისტიკა“ და „საერთაშორისო ურთიერთობები“.
20. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „პედაგოგიკის შესავალი“.
21. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგანი - „განათლების ფსიქოლოგია“ გადაკეთდა მეორე დონის სავალდებულო საგნად.
22. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგნების - „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“ სილაბუსებს დაემატა ახალი თემები.
23. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“. წაიკითხავს ლალი სურმანიძე
24. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსის – „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ – სილაბუსს დაემატა ახალი თემები (ი. კუტალაძე).

<u>განათლების მიმართულება</u>

1. პედაგოგიკის დამატებითი (Minor) პროგრამის კურსში - „საგნის სწავლების მეცნიერული საფუძვლები (ინგლისური ენა)“ შეიცვალა კურსის მიზნები და სწავლის შედეგები.

სამაგისტრო პროგრამები

<u>ფსიქოლოგიის მიმართულება</u>

1. სამაგისტრო პროგრამაში -„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. კურსს დაემატა ახალი საგანი: „სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი“, კითხულობს ვახტანგ ნადარეიშვილი.
2. არჩევითი საგნებიდან გაუქმდა: „სოციალური კოგნიცია“, „სკალირების მეთოდი“.

2. სამაგისტრო პროგრამაში - „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. გაუქმდა სავალდებულო საგნები - „განვითარების ფსიქოლოგია 1“ და „განვითარების ფსიქოლოგია 2“.

დაემატა ახალი არჩევითი საგანი -„ მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება“. წაიკითხავს მანანა მელიქიშვილი.

3. დაემატა ახალი არჩევითი საგანი: საგანმანათლებლო სისტემებისა და სასკოლო განათლების ხარისხი. ლექტორი: ია აფთარაშვილი.
4. სამაგისტრო პროგრამაში – „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. დაემატა ახალი სავალდებულო კურსი – „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური პრობლემები“. წაკითხავს ლალი სურმანიძე
2. დაემატა ახალი არჩევითი კურსი – „ფსიქიატრიის საფუძვლები“.

ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად გაიზიარა შემოთავაზებული ცვლილებები და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3. პროფ. მზია წერეთლის,,განათლების ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენა.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო, რომ პროფ. მზია წერეთელის მიერ წარმოდგენილია ახალი სადოქტორო პროგრამა "განათლების ფსიქოლოგია". იმისთვის, რომ აღნიშნულ პროგრამას მსვლელობა მიეცეს, საჭიროა გადაეგზავნოს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკრედიტაციის პროცესის ინიციაციის მიზნით.
საბჭომ განიხილა ქ-ნი თამარის წინადადება და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, პროფესორ მზია წერეთლის სადოქტორო პროგრამა ,, განათლების ფსიქოლოგია“ გადაეგზავნოს აკრედიტაციის პროცესის აღძვრისთვის თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. საუნივერსიტეტო სამაგისტრო დაფინანსების წესში ცვლილების დამტკიცება.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარმოუდგინა ა(ა)იპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესში შესატან ცვლილებათა პაკეტი. როგორც ქ-ნმა თამარმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განუცხადა, აღნიშნული ცვლილებები იურიდიული დეპარტამენტის მიერ იყო ინიცირებული და ემსახურებოდა მოცემული ნორმატიული დოკუმენტის სრულყოფას. შემოთავაზებულია შემდეგი ცვლილებები:

- საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესის მესამე მუხლს დაემატოს ა ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით - **სტუდენტები, რომლებსაც სპეციალობაში მიღებული ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ, დაფინანსდებიან თანხის თანაბარი რაოდენობით>**
- საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესის მერვე მუხლს დაემატოს დ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით - **რეიტინგის შედგენისას, ამ მუხლის ა, ბ და გ პუნქტების გათვალისწინების შემდეგ დარჩენილი დასაფინანსებელი, თანაბარი ქულების მქონე სტუდენტები დაფინანსდნენ თანხის თანაბარი ოდენობით.**

საბჭომ იმსჯელა იურიდიული დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ ცვლილებებზე და მხარი დაუჭირა ხმათა უმრავლესობით.

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მიმართა რა კიდევ ერთი წინადადებით, განუმარტა, რომ 6 ოქტომბერს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს გასდის ხელშეკრულების ვადა. აღნიშნული ფაქტი კი დღის რეჟიმში აყენებს ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების ჩატარების აუცილებლობას. შესაბამისად, საბჭო მოვალეა განსაზღვროს და დაადგინოს დეკანის არჩევნების ვადები.
ქ-ნმა თამარმა, საკითხის ატუალურობიდან გამომდინარე, შესთავაზა საბჭოს წევრებს დეკანის არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2 ოქტომბერი. დასახელებული თარიღიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დებულებისა და დეკანის არჩევის წესის შესაბამისად, არჩევნები გამოცხადდეს 20 აგვისტოს, საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე. 20 აგვისტოს ვებგვერდზე განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო უწყება არჩევნების გამოცხადების შესახებ. საბუთების მიღების თარიღად კი განისაზღვროს 21 - 29 სექტემბერი.
საბჭომ განიხილა ქ-ნ თამარის მიერ შემოთავაზებული წინადადება და ხმათა უმრავლესობით დაუჭირა მხარი.

მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოს მდივნად აირჩეს ასისტენტ პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი.**
2. **ასისტენტ–პროფესორ ეკატერინე ფირცხალავას ეშუამდგომლოს 2 თვიანი შემოქმედებითი მივლინების თაობაზე.**
3. **დამტკიცდეს სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში შესატან ცვლილებათა** წარმოდგენილი პაკეტი

4. პროფესორ მზია წერეთლის სადოქტორო პროგრამა ,, განათლების ფსიქოლოგია“ გადაეგზავნოს აკრედიტაციის პროცესის ინიცირებისათვის თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
5. დამტკიცდეს ა(ა)იპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესში შესატან ცვლილებათა პაკეტი.
6. დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, დამტკიცდეს ქ-ნი თამარის ინიციატივა - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების თარიღად განისაზღვროს **2** ოქტომბერი. შესაბამისად, არჩევნები გამოცხადდეს **20** აგვისტოს, საბუთების მიღებამდე **1** თვით ადრე. **20** აგვისტოს ვებგვერდზე განთავსდეს შესაბამისი საინფორმაციო უწყება არჩევნების გამოცხადების შესახებ. საბუთების მიღების თარიღად კი განისაზღვროს **21** - **29** სექტემბერი.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი: ასისტენტ

პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

17. 07. 2015